

წაგებაც არის და წაგებაც

როსტოვი. ასკ–ს სტადიონი. 1 აპრილი.

ასკ (როსტოვი) – “დინამო” (თბილისი) 1:0.

ასკ: რუდენკო, შულაევი, შჩერბაკი, ლიკოვი, გრუნინი, სუვოროვი, აგამკოვი, ანდრეევი, ზეიბერლინში, ვორობიოვი, სუროვიკინი.

“დინამო”: ქანთარია, პაიკიძე, ჩივაძე, თევზაძე, არზიანი, სიჭინავა, სვანაძე, სულაქველიძე, ჟვანია, ცაავა, შენგელია.

48 წთ. ზეიბერლინშის ნაცვლად სკლიაროვი, 68 წთ. სიჭინავას ნაცვლად ბარათაშვილი, 88 წთ. ვორობიოვის ნაცვლად კლიუჩნიკოვი.

მსაჯი: ანატოლი კადეტოვი (მოსკოვი).

კუთხურები: 3:8 (1:2).

დაჯარიმდნენ როსტოველები – 17 (6), თბილისელები – 16 (8).

კარში დარტყმა: 10:15 (3:6), ზუსტი დარტყმა 4:5 (2:0), დარტყმა საჯარიმო მოედნიდან 4:7 (3:2).

დუბლიორები: 4:3. თბილისელთაგან გოლები გაიტანეს გოგრიჭიანმა (2) და ბარათაშვილმა.

წლევანდელ ჩემპიონატში “დინამომ” პირველად დატოვა მინდორი დამარცხებულმა. რა თქმა უნდა, ამ საოცრად გრძელსა და რთულ ტურნირში კიდევ დავკარგავთ ქულებს, წავაგებთ კიდევ, მაგრამ წაგებაც არის და წაგებაც. ამ მატჩში ჩვენმა ფეხბურთელებმა ნამდვილად დაიმსახურეს სულ ცოტა ერთი ქულა მაინც. ამის თქმის უფლებას უთუოდ იძლევა თამაშისაგან მიღებული საერთო შთაბეჭდილება, ზევით მოყვანილი ტექნიკური მონაცემები და, რაც მთავარია, 64–ე წუთზე სულაქველიძის მიერ ყველა საფეხბურთო წესის დაცვით გატანილი გოლი, რომელიც მატჩის არბიტრმა რატომღაც არ ჩათვალა.

და აი ამ, ვფიქრობ არგუმენტირებული მოსაზრების მიუხედავად, უთუოდ გამოჩნდება პოლემიკის მოყვარული კაცი, რომელიც იტყვის: მოყვნენ ისევ თავისასო, არ ვიცი, რამდენად ენდობა მკითხველი ჟურნალისტს, მაგრამ სულ ერთი ბენო ნდობა მაინც თუ არსებობს, უნდა დამიჯერონ: მას შემდეგ, რაც პირველი თხუთმეტი წუთის განმავლობაში გვერდითმა მსაჯმა ორჯერ აღნიშნა არარსებული თამაშვარე მდგომარეობა, სასიკეთოს აღარაფერს მოველოდი.

ბუნებრივია, ასეთი შესავალი სულაც არ ნიშნავს, რომ “დინამოს” თამაშში ყველაფერი რიგზე იყო. სხვათა შორის, არც უხეირო მსაჯობა გვათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან, მაგრამ გუნდის ავკარგიანობის საზომად ჯერჯერობით ქულა რჩება, ქულა კი გოლებს მოაქვს...

მატჩის დაწყებიდან 30 წუთის განმავლობაში ტერიტორიული უპირატესობა მასპინძელთა მხარეს იყო. არმიელები ბევრს მოძრაობდნენ, მაგრამ საგოლე სიტუაციები მაინც ერთობ იშვიათად იქმნებოდა – ამ ხნის მანძილზე როსტოველებმა სულ სამჯერ დაარტყეს თბილისელთა კარისაკენ. ერთ–ერთი დარტყმა საბედისწერო გამოდგა სტუმრებისთვის. მე–10 წუთზე თბილისელთა დაცვის მარჯვენა ფლანგიდან ჩამოწოდებულ საჯარიმოს ვორობიოვის თავური დარტყმა და გოლიც მოჰყვა.

30-ე წუთიდან თამაშის სადავეები “დინამომ” აიღო ხელში. ტაიმის მიწურულს უვანიაშვილმა დაკარგა გოლის გატანის კარგი შესაძლებლობა, თუმცა, ანგარიშის გათანაბრება მანამდეც შეიძლებოდა და, თუნდაც მე-12 წუთზე, – პაიკიძე ძალზე კარგად შეიჭრა მეტოქის საჯარიმოში, მაგრამ საბოლოო დარტყმა უზუსტოდ გამოდგა.

მასპინძლებმა იგრძნეს, რომ თბილისელთა გააქტიურება შემთხვევითი და დროებითი არ იყო და მეორე ტაიმი განსაკუთრებული მონდომებით დაიწყო. გადაწყვეტილება სწორი იყო, მაგრამ გუნდს ეს მონდომება მხოლოდ ათიოდე წუთს ეყო. მართალია, ამ მონაკვეთში ბევრი საზრუნავი გაუჩინეს მცველებს ანდრეევმა, ვორობიოვმა და სუროვიკინმა, ერთხელ ანდრეევს დარტყმული მეტად ძნელი ბურთი მოიგერია ქანთარიაშვილმა, მაგრამ მერე სურათი მკვეთრად შეიცვალა სტუმართა სასარგებლოდ. მე-11 წუთზე ძალზე ლამაზად ითამაშა უვანიაშვილმა, რომელმაც თავზე გადაუგდო ბურთი მცველს და ძირს დაუშვებლად დაარტყა კარისაკენ – ახლა უკვე რუდენკოს მოუხდა ოსტატობის ჩვენება. რამდენიმე წუთის შემდეგ “დინამომ” მაინც მიაღწია თავისას – სულაქველიძემ სულ ბოლო მომენტში მიუსწრო კუთხურიდან ჩამოწოდებულ ბურთს და წერილის თავში ნახსენები ის ჩაუთვლელი გოლიც გაიტანა...

თამაშის დასკვნით ნაწილში თბილისელები უტევდნენ, მასპინძლები კონტრშეტევებით პასუხობდნენ. როსტოველთა მხრიდან იმატა ჯარიმებმა.

მატჩის ბოლო წუთებზე “დინამომ” ყველა ღონე იხმარა ანგარიშის გასათანაბრებლად, იერიშებში აქტიურად ჩაერთო ჩივაძეც, მაგრამ... ისე კი, სამართლიანობა მოითხოვს და კიდევ ერთხელ უნდა ვთქვა, რომ დამარცხება მეტისმეტი სასჯელი გამოდგა დინამოელებისთვის.

და ბოლოს, აუცილებლად უნდა შევჩერდე ალბათ ყველაზე მთავარზე, იმაზე, რაც დღეს ასე ვნებს ჩვენს გუნდს. ეს სათქმელი არ ეხება არც ცალკეულ ფეხბურთელთა შეცდომებს და არც “დინამოს” შედარებით სუსტ თამაშს ნახევარდაცვის ზონაში. ამ რჩევასა თუ სურვილში არ იქნება საუბარი არც ტექნიკაზე, არ ტაქტიკასა და ფიზიკურ მომზადებაზე. თითოეულმა ფეხბურთელმა, განსაკუთრებით კი გუნდში მოსულმა ახალმა თაობამ, ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაძლიოს უცხო სტადიონისა და მეტოქის უპირატესობის კომპლექსი. ვიცი, რომ ეს ყველაფერი სათქმელად უფროა იოლი, მაგრამ, ის, რასაც ასე ელის ფეხბურთის ქართველი გულშემატკივარი, ის, რისი ღირსიც არის ჩვენნაირი ტრადიციების მქონე გუნდი, დარწმუნებული ვარ, სხვანაირად არ მოვა.

ირაკლი ბერიაშვილი.

როსტოვი-თბილისი.

ინტერვიუ მატჩის შემდეგ

პიოტრ შუბინი, როსტოვის ასკ-ს უფროსი მწვრთნელი:

რა თქმა უნდა, თამაში გამოგვივიდა.

უმაღლესი ლიგის დებიუტანტისთვის თბილისის “დინამოსთან” გამარჯვება ბევრს ნიშნავს. ისიც მინდა დავუმატო, რომ უხეირო მინდორმა თბილისელებს საშუალება არ

მისცა ტექნიკური უპირატესობა გამოეყენებინათ. კმაყოფილი ვარ ჩემი გუნდის ყველა ფეხბურთელის თამაშით.

ჩემი აზრით, ურიგოდ არ უთამაშია “დინამოს”. მომეწონა ჩივაძე, სულაქველიძე, ცაავა. ვფიქრობ, ეს სახელოვანი კოლექტივი უკვე წლეულს ითამაშებს ისე, როგორც შეჭვერის (სულაქველიძის გოლის თაობაზე როსტოველთა უფროსმა მწვრთნელმა განაცხადა: “იმ ადგილიდან, სადაც ვიჯექი, მაინცდამაინც კარგად არ ჩანდა ეს სიტუაცია და ამიტომ გადაჭრით ვერაფერს ვიტყვი”).

დავით ყიფიანი, თბილისის “დინამოს” უფროსი მწვრთნელი:

ხარვეზები საკმაოდ იყო ჩვენს თამაშში. სამწუხაროდ, ჯერჯერობით სუსტია “დინამოს” შეტევები. ამაში ბრალი მიუძღვით როგორც ფორვარდებს, ისე ნახევარმცველებსაც. თუმცა, ამის თქმა შეიძლება არც იყოს საჭირო – ორი გოლი ოთხ მატჩში თავისთავად მეტყველებს ჩვენი გუნდის შეტევით პოტენციალზე. მართალია, ჩვენც არ გაგვიშვია ბევრი გოლი, მაგრამ ეს დიდი ვერაფერი ნუგეშია.

ამ დაკარგულ ქულას განსაკუთრებით იმითომ განვიცდით, რომ საბოლოოდ სწორედ ქულების რაოდენობა განსაზღვრავს საკუთარი ძალების რწმენას, ასე რომ სჭირდება დღეს გუნდს.

“ლელო”, 3 აპრილი, 1984 წ.